

# ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობა,

შპს „ხვამლი“

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

თარიღი: 1 / აპრილი, 2015 წ.

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „ხვამლი“ ს/კ: 405043297 (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩაჩხიანის (პ/ნ 01031004836) მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.
  - 1.2. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს ხელშეკრულების გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული სამშენებლო ფაზის ვადისა.
  - 1.3. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
  - 1.4. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეებს.
  - 1.5. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.
  - 1.6. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკო“-ს შორის.
  - 1.7. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს ხელშეკრულების შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს.
  - 1.8. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
  - 1.9. „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს წინასამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა.
  - 1.10. „წინასამშენებლო გარანტია“ ნიშნავს წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
  - 1.11. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და „ესკო“-ს ერთობლივად.
  - 1.12. „ძირითადი მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.
  - 1.13. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას და მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
  - 1.14. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.



- 1.15. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.
- 1.16. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.

#### მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, მშენებლობა, ფლობა, ოპერირების პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

#### წინასამშენებლო ფაზა

3. კომპანია წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში მემორანდუმის დანართ N1, N2 და N3-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია:
  - 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
  - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში), და წარუდგინოს ის სამინისტროს;
  - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
  - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს
  - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს მთავრობისთვის წარსადგენი წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.1-3.5 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
  - 4.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;
  - 4.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიური გამომუშავების ჩათვლით;
  - 4.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის ნიშნულებს;
  - 4.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
  - 4.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;
  - 4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).
5. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ



ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას წარუდგენს მთავრობას, მისთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეთავაზების წარდგენამდე.

6. კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვეში მთავრობამ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს. თუ მთავრობის გადაწყვეტილება დადებითია, ძირითადი მხარეები მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს დარჩენილი წინასაშენებლო გარანტია 30 დღის განმავლობაში.
7. წინასაშენებლო გარანტია
  - 7.1. წინასაშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიამ მთავრობას უნდა წარუდგინოს საბანკო გარანტია 65 000 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასაშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 2 თვით უნდა აღემატებოდეს.
  - 7.2. მთავრობა უფლებამოსილია წინასაშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:
    - ა) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასაშენებლო გარანტიის 50%-ის ოდენობით;
    - ბ) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 60 დღეზე მეტი ვადით - წინასაშენებლო გარანტიის სრული ოდენობით;

#### სამშენებლო ფაზა

8. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
  - 8.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;
  - 8.2. დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 8.3. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 8.4. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
  - 8.5. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და სხვა სტანდარტების შესაბამისად;
  - 8.6. კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და



სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა პროექტის განხორციელების არეალზე;

- 8.7. მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.
9. სამშენებლო გარანტია
  - 9.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. კომპანიას უზრუნველა დარჩენილი წინასამშენებლო გარანტია, მის მიერ სამშენებლო გარანტიის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
  - 9.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
  - 9.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
  - 9.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:
    - ა) კომპანია მემორანდუმის 9.2 და 9.3 მუხლების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
    - ბ) მთავრობა მე-14 მუხლის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - სამშენებლო გარანტიის სრული მოცულობით.

ზოგადი დებულებები



10. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“), ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი („ზამთრის თვეები“)) ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20 (ოცი)%-ის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე. ელექტროსადგურის მიერ გამოსამუშავებელი ელექტროენერგიის წლიური საპროგნოზო რაოდენობა აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის პირველ თვეებში ელექტროენერგიის წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ზე ნაკლებია, მაშინ სხვაობა ფაქტობრივ გამომუშავებასა და ელექტროენერგიის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ს შორის მიეწოდება „ესკო“-ს ზამთრის შემდგომ თვე(ებ)ში ან სხვა თვეებში, რომელსაც განსაზღვრავს „ესკო“. სხვაობა ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20 (ოცი)%-სა და ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს გათვალისწინებული მომდევნო წელს.
11. მემორანდუმის მე-10 მუხლის მიზნებისათვის, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეებში, კომპანია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერგიის რეალიზაციას განახორციელებს მიერთების წერტილში 2.5 (ორი მთელი ხუთი მეათედი) აშშ ცენტის ტარიფით. მემორანდუმის მე-10 მუხლში აღნიშნული საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეების გარდა, წლის დანარჩენ პერიოდში, კომპანია უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მხარეთა ვალდებულებები


12. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
- 14.1 უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
  - 14.2 შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;
  - 14.3 უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
13. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
- 13.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;



13.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

#### მემორანდუმის გაუქმება

14. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 14.1. კომპანია დაარღვევს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გრაფიკს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯამში 60 დღეზე მეტი ვადით;
  - 14.2. 9.2 ან/და 9.3 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
  - 14.3. ფორს-მაჟორი გრძელდება 120 დღეზე მეტი ვადით;
  - 14.4. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-4 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას;
15. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-14 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 15.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
  - 15.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
  - 15.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას.
16. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 16.1. მთავრობა ვერ ასრულებს მემორანდუმის მე-13 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 90 დღით ადრე;
  - 16.2. კომპანია იყენებს ამ მემორანდუმის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე;
  - 16.3. ფორს-მაჟორი გრძელდება 120 დღეზე მეტი ვადით.
17. კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის მე-16 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 17.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
  - 17.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;



- 17.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას;
- 17.4. კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი.
18. მთავრობის ან კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის შეწყვეტას და შესაბამისად ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტას.

#### მემორანდუმის ცვლილება

19. ცვლილებები
- 19.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- 19.2. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შემდეგ შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკითხს;
- 19.3. თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

#### მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

20. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
21. ნებისმიერი დავა, რომელიც მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდება მხარეებს შორის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საქართველოს საერთო სასამართლოებს.

#### ფორს-მაჟორი

22. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.
23. თუ რომელიმე მხარე მოექცევა წინა მუხლში აღნიშნულ ფორს-მაჟორულ გარემოებებში, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება. ამავე მხარემ უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ფორს-მაჟორის მიზეზებსა და შედეგებს.





24. თუ ფორს-მაჟორი ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ ამ მოვლენის ზემოქმედების პროპორციულად და მეორე მხარეს არ იქნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ამავე მემორანდუმით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### დამატებითი დებულებები

25. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და ძალაშია მხარეთა მიერ ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე.

26. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

#### ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა




კახა კალაძე

შპს „ხვამლი“



ნიკოლოზ ჩაჩიანი

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“



ვაზტანგ ამბოვაძე

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
"ჯონოული 3" ჰიდროელექტროსადგური	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, მდინარე ჯონოული	688	412	65 მლნ.კვტ.სთ	13 მვტ.




დანართი N2

დასახელება	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან			
	2	4	5	6
<b>ჯონოული 3*</b>				
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების დაზუსტება	X			
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება	X			
გეოლოგია, გეოფიზიკა	X			
სეისმური ანგარიში	X			
სამშენებლო მასალების კვლევა	X			
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები	X			
ჰიდრაულიკური კვლევები		X		
ალტერნატივების ანალიზი			X	
ტექნიკური დიზაინი			X	
ინფრასტრუქტურა		X		
ელექტროენერჯის წარმოება				X
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი				X
ეკოლოგია			X	
სამუშაოების მოცულობის უწყისი			X	
მშენებლობის ორგანიზაცია			X	
ეკონომიკური ანალიზი				X
ფინანსური ანალიზი				X
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა				X
მუშახელის მომზადების გრაფიკი			X	
ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის წარდგენა				X
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება			X	
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა				X
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა			X	
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა				X

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დასასრული	დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე შეთანხმების ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
10 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		30 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		



დანართი N4

## ხელშეკრულება

ქ. თბილისი \_\_\_\_\_

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ, და

„კომპანია“ (შემდგომში: „კომპანია“) ს/კ: \_\_\_\_\_, წარმოდგენილი მისი დირექტორის \_\_\_\_\_ (პ/ნ \_\_\_\_\_) მიერ,

ვინაიდან ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან კომპანიამ მემორანდუმის 9.1 მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოს წარმოადგინა საბანკო გარანტია;

აქედან გამომდინარე ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერები:





## საქართველოს მთავრობის განკარგულება


№617 2015 წლის 24 მარტი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი დარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010168956062814

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№11539

31 / დეკემბერი / 2014 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილე,  
ზატონ ირაკლი ხმაღამეს

ზატონ ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 22 დეკემბრის №04/4772 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. დხოქიჯვანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 01/1347

26 12 2014.

17975  
26 12 14.

თანხმობა ხელმოსაწერი  
ერთიერთგაგების შემოთანხმების  
პროექტზე

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის  
მოადგილე ზატონ ირაკლი ხმაღაძე

ზატონ ირაკლი,

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2014 წლის 22 დეკემბრის #04/4775  
ჩერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს  
შთაგრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ და შპს  
„ხვამლს“ შორის დასადგები ერთიერთგაგების შემოთანხმების პროექტი (ვესის  
დასახელება: „ჯონოული 3“). ოსმელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ვ. აბზოვაძე

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006: ID CODE 205170036





5080  
17 09 14  
1

## საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1569 2014 წლის 10 სექტემბერი ქ. თბილისი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, მდინარე ჯონოულზე ჰიდროელექტროსადგურ „ჯონოული 3“-ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის თაობაზე

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, მდინარე ჯონოულზე ჰიდროელექტროსადგურ „ჯონოული 3“-ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ხვამლი“.

2. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენა.

პრემიერ-მინისტრი

წ.

ირაკლი ლარიბაშვილი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14068903, 03/07/2014 16:29:41

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ხვამლი  
**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405043297  
**რეგისტრაციის ნომერი,  
თარიღი:** 15/05/2014  
**მარეგისტრირებული  
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი,  
ად.მიცკევიჩის ქ., №25ბ. ბ.51  
**დამატებითი ინფორმაცია:**  
**სხვა მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,  
გაბაფხულის ქ., №14  
**ელ. ფოსტა:** bxabuliani@yahoo.com  
დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

- დირექტორი - 01025015588, ბეჟა ხაბულიანი
- დირექტორი - 01031004836, ნიკოლოზ ჩაჩხიანი

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01025015588, ბექა ხაბულიანი	50.00000000%	
01031004836, ნიკოლოზ ჩაჩხიანი	50.00000000%	

### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

### გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

### ყადალა/ავრძალვა

რეგისტრირებული არ არის

### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



№ 3699

282/102-02

**Bank Guarantee**

04.07.2014

Letter of Guarantee No.: 1144926-2628459  
Beneficiary: Government of Georgia  
Principal: Khvamli Ltd (IDN405043297)  
Guarantee amount: 65 000 [sixty five thousand] USD  
Validation time: Till 4 September, 2016 (26 months)

We were informed that Khvamli Ltd (The Company) has submitted application for participating in the inquiry process for preparation of the feasibility study, construction, ownership and operation of "Jonouli 3" Hydro Power Plant in Georgia

In accordance with regulations the Company has to present bank guarantee ensuring preparation of feasibility study and environmental impact assessment report on "Jonouli 3" Hydro Power Plant and presentation of the construction guarantee pursuant to the terms and conditions of the Memorandum of Understanding to be signed between Khvamli Ltd (The Company) and the Government of Georgia (the "MoU")

We, "TBC BANK" JSC, Address: Tbilisi, Marjanishvili st. #7 (the "Bank"), under this bank guarantee ("Bank Guarantee") hereby unconditionally and irrevocably undertake to pay you any sums up to a maximum amount of 65 000[sixty five thousand] USD In equivalent of Georgian Lari at the national Bank of Georgian official exchange rate in force on the date of payment ("Maximum Amount") in connection with the Company's obligation of preparation of the feasibility study and environmental impact assessment report and presentation of the construction guarantee pursuant to the terms and conditions of the MoU, in accordance with and subject to the following:

- (A) We shall pay you immediately upon your first written demand and irrespective of any objection by the Company or any other party such amount or amounts as you may demand up to the Maximum 65 000[sixty five thousand] USD In equivalent of Georgian Lari at the national Bank of Georgian official exchange rate in force on the date of payment
- (B) All payments made based on your demand shall be free and clear of, and without any present or future deduction or withholding for payment of, any taxes, levies, duties, charges or fees of any nature whatsoever and by whomsoever imposed;
- (C) The Bank guarantee shall remain valid and in full force and effect up to the end of the day 4 September 2016; and expires full and automatically, should your original written request for payment not be in our possession at our above mentioned address on or before that date;
- (D) Your demand of payment must be sent to our above mentioned adress in the written form,
- (E) The Bank Guarantee will be reduced by each payment made by us as a result of a claim. This guarantee will be governed by Georgian Law, place of Jurisdiction is Tbilisi. Any dispute with respect to this guarantee shall be resolved by UNCITRAL Arbitration Rules.

Representative

Grigol Katsia